

ეფექტურობის ფაქტორის (X-ფაქტორის) განსაზღვრა



"NARUC"-ის საპარტნიორო პროგრამა ენერგორეგულირების სფეროში

*საქართველოს ენერგეტიკის და წყლის მარეგულირებელი ეროვნული
კომისია*

და

ვერმონტის კომუნალური მომსახურების საბჭო

ავტორი

ჯორჯ იანგი

ვერმონტის კომუნალური მომსახურების საბჭო

2009 წლის 29 ივნისი



მიმოხილვა

- ❖ ალტერნატიული რეგულირება
- ❖ საბაზისო შემოსავლების/ფასების გაზრდის ფორმულა
- ❖ პროდუქტიულობაზე შესწორების შემუშავება



აღტერნატიული რეგულირება

- ❖ ცვლის ტრადუციულ, მომსახურების ღირებულებაზე დაფუძნებულ რეგულირებას
- ❖ ეს არის მცდელობა შეიცვალოს ხარჯებს-პლუს ტარიფების წარმოქმნის სქემა და მოხდეს მისი ჩანაცვლება რეგულირებადი კომპანიისთვის ეფექტურად მუშაობის სტიმულირების შექმნით
- ❖ საწარმოს აქვს საშუალება გაზარდოს საკუთარი შემოსავლები სტრუქტურაში ჩართული სტიმულების ხარჯზე.



აღტერნატიული რეგულირების შესაძლებლობები

❖ შემოსავლების გაყოფა

- მოითხოვს საწარმოსაგან გადამხდელებისათვის გარკვეულ დონეზე მაღლა მიღებული შემოსავლების ნაწილობრივ ან მთლიანად დაბრუნებას

❖ მიზნობრივი სტიმულები

- საწარმოს შეუძლია მიიღოს დამატებითი, განსაზღვრული შემოსავლები, თუკი იგი კონკრეტულ ქმედებებს განახორციელებს.
- შესაძლოა მათი გამოყენება ინდივიდუალურ სადგურებზე ეფექტურობის გასაუმჯობესებლად



ალტერნატიული რეგულირების შესაძლებლობები (გაგრძ.)

- ❖ შემოსავლების შესწორება ან ფასების ზედა ზღვარი (ფოკუსირება ამაზე)
- ❖ აშშ-ში ალტერნატიული რეგულირების შესახებ შემოთავაზებები
ტელეკომუნიკაციათა სფეროში გაკეთდა



აღტერნატიული რეგულირების შესაძლებლობები (გაგრძ.)

- ❖ მარეგულირებლები ფასების/შემოსავლების შესწორებების და შემოსავლების განაწილების ნარევს იყენებდნენ
 - ტარიფების შესწორებაზე ნებართვა
 - შემოსავლების განაწილება იცავს კომპანიებს და გადამხდელებს, თუკი ფორმულაში დაბალანსება არასწორად ხდება
- ❖ შემოსავლების განაწილება და, დროთა განმავლობაში, ფასების ზედა ზღვარი, როგორც მოელოდნენ, უკეთესი შედეგების მომტანი უნდა ყოფილიყო



ფასების ზედა ზღვარი ან შემოსავლების შესწორების ფორმულა

- ❖ შესწორების საბაზისო ფორმულა
– ინფლაცია – $X +/- Z$
- ❖ X არის პროდუქტიულობის შესწორება
- ❖ Z ცნობილია, როგორც გარეშე ფაქტორი
- ❖ ზოგიერთი ფორმულა აგრეთვე მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასაც იღებს მხედველობაში, რადგან, მეტი მომხმარებლის მომსახურება მეტ ხარჯს ითხოვს და, შესაბამისად, აუცილებელია ხარჯების ნორმალიზაცია



ფასების ზედა ზღვარი – ინფლაციის ფაქტორი

- ❖ ზოგადად განკუთვნილია იმის ასახვად, რომ ფასები დროში საერთო ეკონომიკური დანახარჯების შესაბამისად შეიცვლება
- ❖ მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორის შეჩევა, რომელიც მასალების ფასების ზრდას ასახავს
- ❖ აშშ-სთვის დამახასიათებელი ზომა - სამომხმარებლო ფასების ინდექსი ან რაიმე ქვესიმრავლე



ფასების ზედა ზღვარი – პროდუქტიულობის ფაქტორი

- ❖ ეკონომიკის თვალსაზრისით - პროდუქტიულობა გამოსავლის რაოდენობის მაჩვენებლის დანახარჯის რაოდენობის მაჩვენებელთან შეფარდებას წარმოადგენს
- ❖ გამოიყენება იმ ფირმების ეფექტიანობის დასადგენად, რომლებიც გარკვეული მასალების ხარჯვით გამოსავალს იღებენ
- ❖ ასახავს ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ეკონომიკური მაჩვენებლების საწარმოს ზომაზე დამოკიდებულებას, ფირმის ეფექტიანობას მეურნეობის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ინფლაციის ზომაში მონაწილეობს



ფასების ზედა ზღვარი – პროდუქტიულობის ფაქტორი (გაგრძ.)

- ❖ ზუსტი გაზომვების უზრუნველყოფა გაწეული ხარჯების დეტალურ შესწავლას მოითხოვს
- ❖ კონცეფცია გულისხმობს, რომ საკუთარი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად გაწეული ძალისხმევისათვის საწარმო უნდა დაჯილდოვდეს



ფასების ზედა ზღვარი – პროდუქტიულობის ფაქტორი (გაგრძ.)

- ❖ პროდუქტიულობის ფაქტორი აგრეთვე შეიძლება ისე შესწორდეს, რომ სტიმულები შექმნას
 - მაგალითად, "FCC"-მ ნება დართო კომპანიებს თავად გაეკეთებინათ არჩევანი ორ განსხვავებულ ფაქტორს შორის, იმისდა მიხედვით, მოახდენდნენ ისინი შემოსავლების განაწილებას თუ არა
 - შესაძლებელია უფრო მაღალი ფაქტორის შერჩევა, რაც საწარმოებს საქმიანობის გაუმჯობესების სტიმულებს შეუქმნის



პროდუქტიულობის ფაქტორი - ვერმონთის გამოცდილება

- ❖ პირველად შემოღებული იქნა 1994 წელს ტელეკომუნიკაციების სფეროში
 - X ფაქტორი განისაზღვრა 4.5%-ის დონეზე
 - ახალი გეგმა 2000 წელს. განაკვეთები გაყინული იქნა, რამაც ირიბად X ფაქტორი ინფლაციის ტოლი გახადა
 - ტელეკომის გეგმა ჯერ კიდევ ძალაშია



პროდუქტიულობის ფაქტორი - ვერმონთის გამოცდილება (გაგრძ.)

❖ ვერმონთის გაზზის გეგმა მიღებული
იქნა 2007 წელს

- ხდება თითოეულ მომხმარებელზე
გაწეული საოპერაციო ხარჯების
ინფლაციაზე შესწორება - X ფაქტორი
- X ფაქტორი განისაზღვრა 0.39%-ის
ტოლად



პროდუქტიულობის ფაქტორი - ვერმონთის გამოცდილება (გაგრძ.)

❖ "Green Mountain"-ის ელექტრობის გეგმა

- ტრიფში ნებადართულია განაკვეთის ავტომატური გაზრდის მექანიზმის ჩართვა
- არ ხდება პროდუქტიულობის ფაქტორის ან ინფლაციაზე პირდაპირი შესწორება
- ტარიფის ზრდის შედარებით დაბალი ნებადართული დონე ამ ზრდის ინფლაციის მაჩვენებელზე დაბლა შენარჩუნების საშუალებას იძლევა
- შემოსავლების განაწილებასთან ერთად იძლევა იმის საშუალებას, რომ ჭარბი შემოსავლების შემთხვევაში ტარიფების შემცირება მოხდეს



პროდუქტიულობის ფაქტორი - ვერმონთის გამოცდილება (გაგრძ.)

❖ ცენტრალური ვერმონტი

- ყველაზე დიდი ელექტრო საწარმო
- ტარიფის შესწორება ინფლაციის ტოლია - X
- X ფაქტორი განსაზღვრულია 1%-ს დონეზე. ეფუძნება კომპანიის მიერ მიცემულ ჩვენებებს
- საბჭომ არ გაითვალისწინა შესწორება კლიენტების რაოდენობის ზრდაზე, რადგან ზრდა მოსალოდნელი არ არის



პროდუქტიულობის ფაქტორი - ვერმონთის გამოცდილება (გაგრძ.)

- ❖ ტელეკომუნიკაციები - ტარიფები გაყინულია 2000 წლიდან. ამ დრომდე შემოსავლებიც სტაბილურია
- ❖ გაზი - იძლევა ტარიფების არამკვეთრი შესწორების შესაძლებლობას, თუმცა არ გამოიყენება განაწილება
- ❖ ელექტროობა
 - "GMP" - ტარიფების შესწორებები განაწილების გარეშე განხორციელდა
 - "CVPS" - ტარიფის პირველი შესწორება ზღვარზე დაბლა ფორმულის გამოყენებით განხორციელდა



შემოსავლების შესწორება – Z ფაქტორი

- ❖ იძლევა ფორმულაში შესწორებების შეტანის საშუალებას გარეშე ფაქტორების ასახვის მიზნით
- ❖ ზოგადად, ფაქტორი ცდილობს გაითვალისწინოს საწარმოს მიერ არაკონტროლირებადი კონკრეტული მოვლენები, რომლებიც შემდეგ ფორმულაში ბალანსის უზრუნველსაყოფად გამოიყენება
 - მაგალითი: გადასახადი, რო,ელიც მხოლოდ ელექტრო საწარმოზე ახდენს გავლენას
- ❖ ვერმონტში ერთჯერადად გამოყენებული შესწორება
 - "Green Mountain Power"-ს მოუწია გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა ძლიერი ქარიშხლის მიერ გამოწვეული დაზიანებების გამო
 - წმინდა გავლენა დაახლოებით 0.3%-ს შეადგენდა